კონკურსი აჭარის ფიზიკის მასწავლებლებისთვის -

ერთკვირიანი სტაჟირება ევროპულ ცენტრში CERN - 2026

➡ ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი (ბათუმის მასწავლებლის სახლი) აცხადებს **საჯარო და კერძო სკოლის** ფიზიკის მასწავლებელთა კონკურსს ქ. ჟენევაში (შვეიცარია) მდებარე ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN - Organisation Européenne pour la Recherche Nucléaire) ერთკვირიან სტაჟირებაზე გასაგზავნად. **სტაჟირება განხორციელდება 2026 წლის 1-6 მარტს.**

➡ კონკურსის შედეგად შეირჩევა ფიზიკის 4 პედაგოგი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო და კერძო სკოლებიდან. მათი სტაჟირების სრული დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებლის სახლი) მიერ. **კერძო სკოლის მასწავლებლის სტაჟირება დაფინანსდება მათი სკოლის მიერ.**

➡ სტაჟიორი ვალდებულია ვიზიტის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, სკოლაში შექმნას არანაკლებ 10 წევრისაგან (მოსწავლე) შემდგარი სასკოლო კლუბი, რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრება არანაკლებ ერთი სასწავლო წლით.

➡ კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილე:

1. უნდა ასწავლიდეს **აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ საჯარო ან კერძო სკოლაში;**
   შენიშვნა[1]: კონკურსში კერძო სკოლის მასწავლებლის მონაწილეობის შემთხვევაში, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს სკოლის ადმინისტრაციის თანხმობა დაფინანსების თაობაზე.
2. **უნდა იყოს სკოლის მოქმედი, ფიზიკის პედაგოგი (უფროსი, წამყვანი, მენტორი) და უნდა ჰქონდეს ჩაბარებული საგნობრივი გამოცდა ფიზიკაში;**
   შენიშვნა[2]: თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მაღალი სტატუსის მქონე კანდიდატს;
3. **არ უნდა იყოს ნამყოფი ზემოხსენებულ კვლევით ცენტრში.**

➡ კონკურსის ეტაპები:

კანდიდატების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად:

I ეტაპი: დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღება/გადარჩევა

II ეტაპი: კომისიასთან გასაუბრება, განხორციელებული პროექტ-გაკვეთილის წარდგენა/პრეზენტაცია და შეფასება.

➡ საჭირო დოკუმენტაცია:

1. **CV ქართულ ენაზე**
2. **პირადობის მოწმობის ასლი**
3. **დიპლომის ასლი**
4. **ფიზიკის მასწავლებლის საგნობრივი გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი**
5. **ცნობა სკოლიდან ფიზიკის საგნის მასწავლებლობის შესახებ (სტატუსის მითითებით!)**

6. **სკოლაში განხორციელებული სასწავლო პროექტი-გაკვეთილი ფიზიკაში პრეზენტაციის (Power Point-ის) სახით** (10 სლაიდი/თხრობის ხანგრძლივობა 10 წუთი)

➡ **პრეზენტაციის აღწერა:**

- ✓ პროექტ-გაკვეთილის პრეზენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს საგაკვეთილო რესურსის ნიმუშის სახით და უნდა შეიცავდეს მოსწავლეზე ორიენტირებულ კონკრეტულ სასწავლო სტრატეგიებს, მეთოდებს და მიდგომებს
- ✓ პრეზენტაცია უნდა ასახავდეს ფიზიკის სწავლების თანამედროვე ან ორიგინალურ მეთოდიკას საკუთარი პრაქტიკიდან
- ✓ პრეზენტაცია უნდა მოიცავდეს: პროექტ-გაკვეთილის აღწერას, განხორციელების და საბოლოო პროდუქტის ამსახველ ფოტო ან ვიდეომასალას.

➡ **დოკუმენტაციის მიღების პირობა და ვადა:**

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია და პრეზენტაცია უნდა გამოგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ajaraedufund@gmail.com

დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადაა 2025 წლის 5 დეკემბერი (18.00 სთ)

შენიშვნა:

1. არასრული ინფორმაციის შემცველი განაცხადები არ განიხილება!

2. ვადების დარღვევით შემოსული განაცხადი არ განიხილება!!!

➡ **ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი:**

ლალი ლომთათიძე
დირექტორის მოადგილე,
ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი
საკონტაქტო ტელეფონი: 599 940 466
მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა #123